ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3450395

ნომერი: AR1524930

თარიღი : 20.07.2017

გაცემის თარიღი : 03.08.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ალაშვილი პ/ნ 01017033524
- ქ.თბილისი ჭონქაძის 10ა ბ4

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1524930 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.72.14.033.774 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 06 ივლისის #2668569 ბრძანებით ქ. თბილისში, #01.72.14.033.774 საკადასტრო

ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.
2016 წლის 15 აგვისტოს #2778674 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მისამართზე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.72.14.033.774), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 2016 წლის 18 აგვისტოს #2783114 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2017 წლის 26 იანვრის #4 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 თებერვლის #1-280 ბრძანების საფუძველზე, #01.72.14.033.774 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=1,8-ით. (სამსახურის 2017 წლის #3070428 წერილი)
“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2017 წლის 6 აპრილის #14 სხდომის დასკვნის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 ივნისის N11–46 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.774), ფუნქციური ზონა – საცხოვრებელი ზონა 3 შეიცვალა საცხოვრებელი ზონა 5- ით. (სამსახურის 2017 წლის #3288787 წერილი)
2017 წლის 20 ივნისის #3337456 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 6 ივლისის #2668569 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციური ზონა დაფიქსირდა: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) — საშუალო ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.
2017 წლის 6 ივლისს #AR1520501 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ზაზა ღულაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, სოფელი დიღომი, #01.72.14.033.774 საკადასტრო რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3391372 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება არ მომხდარა.
2017 წლის 11 ივლისს #AR1522163 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ზაზა ღულაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, სოფელი დიღომი, #01.72.14.033.774 საკადასტრო ერთეულზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.